




“სამაგვლის ფონდების” აქტივობები 2023

**2023 წლის განმავლობაში “მომავლის ფერმერის” გუნდი ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით შემდეგ მიმართულებებზე მუშაობდა:**

- საქართველოს ფიტოსანიტარული შესაძლებლობების გაუმჯობესება
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის ექსტენცია
- სოფლის მეურნეობის ექსტენცია - ახალგაზრდების ჩართულობა
- სოფლის მეურნეობის ექსტენცია - კალმახის აკვაკულტურა
- ხორბლის წარმოების შეფასება
- კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობა



**ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები და აქტივობები:**

● ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის - პროფესიული განათლების დეპარტამენტის ბაზაზე მომზადდა მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის მოკლევადიანი გადამზადების პროგრამა. პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია და მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს მსმენელების პირველი ნაკადი გამოეშვა, რომელთა დაჯილდოების ცერემონიაც სექტემბერში გაიმართა აჭარის მთავრობისა და აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენლების მონაწილეობით.

სასწავლო კურსის მიზანია მცენარეთა დაცვის სფეროში შესაბამისი კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროექტში ჩართული ექსპერტების მიერ მომზადდა სასწავლო პროგრამა იმგვარად, რომ კურსის დამსწრეებმა შეძლონ შესაბამისი წესების დაცვით გაატარონ მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები, მიიღონ ინფორმაცია ფიტოსანიტარიის საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების შესახებ, სწორად შეარჩიონ მცენარეთა დაცვის მეთოდები და საშუალებები და გამოიყენონ ისინი უსაფრთხოების წესების დაცვით. კურსის ფარგლებში შერჩეული კულტურებია: სუბტროპიკული ხილი, თხილი, კენკრა, ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები, რომლებიც ძირითადად დამახასიათებელია აჭარის რეგიონისთვის. ამ ეტაპზე პროგრამას ჰყავს 14 კურსდამთავრებული.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ფიტოსანიტარიის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს მავნებელთა ინტეგრირებული მართვის (IPM) მოკლევადიანი გადამზადების პროგრამის მომზადება. ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა კალიფორნიის, ფრეზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტების მიერ მომზადებული მოდულები, რის ბაზაზეც ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით აეწყო და აკრედიტაციას გაივლის საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის დანერგვა იგეგმება საქართველოს 6 რეგიონში, შესაბამის უნივერსიტეტებსა და სასწავლო დაწესებულებებში. უნივერსიტეტებთან დაწყებულია მოლაპარაკებები, მიმდინარეობს სასწავლო გარემოსა და რესურსების მოკვლევა, აკრედიტაციისათვის საჭირო დოკუმენტების მომზადება.

დამატებით, აღნიშნული სასწავლო კურსის პოპულარიზაციის მიზნით, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრში 9 ნოემბერს ჩატარდა ვორქშოფი, რომელსაც უძღვებოდა ფრეზნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სერტიფიცირებული ადგილობრივი სპეციალისტი. შეხვედრაზე, კერძო კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად, მოწვეული იყვნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის, გურიისა და სამეგრელოს ინსპექტორები. სასწავლო პროგრამის მიმართ დარგში მაღალი ინტერესი და მოლოდინებია.





მიმდინარე წლის 14 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭოს რიგით მე-7 სხდომა, რომელსაც 26 მონაწილე დაესწრო, მათ შორის, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე დეტალურად გაეცნენ საბჭოს ფუნქციონირების პრინციპებს. მცენარეთა დაცვის ეროვნული სამეთვალყურეო საბჭო შეიქმნა 2019 წელს საქართველოს ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, USDA-ის ფინანსურის მხარდაჭერითა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით. მისი მიზანია ერთი მაგიდის გარშემო გააერთიანოს დარგის სპეციალისტები, რათა მიღებული იქნას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები საქართველოში მცენარეთა დაცვის სექტორის განვითარებისა და გაძლიერებისათვის. მიმდინარე წლის ნოემბერში გამოიცა მინისტრის განახლებული ბრძანება საბჭოს ხელმძღვანელისა და შემადგენლობის ცვლილების შესახებ.





2023 წლის თებერვალში მომავლის ფერმერის ორგანიზებითა და USDA-ის მხარდაჭერით განხორციელდა 2 კვირიანი სასწავლო-სამუშაო ვიზიტი აშშ-ში, რომელშიც მონაწილეობდნენ აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები (მინისტრი, მოადგილე, ექსტენციონისტი), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორები, USDA-ისა და მომავლის ფერმერის წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრები გაიმართა ტექსასისა და ოჰაიოს შტატების უნივერსიტეტებში, ასევე, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის ადმინისტრაციაში, ვაშინგტონში. ვიზიტის მიზანი გახლდათ აჭარაში ექსტენციის სერვისების გაუმჯობესება და კონკრეტული გადაწყვეტების დადება. აღნიშნულ ვიზიტს მალევე მოჰყვა აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რომელიც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში საკვანძო მხარეებს შორის ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.





აჭარის ა/რ-ში ახალი საექსტენციო მოდელის შემუშავებისა და განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. აშშ-ში განხორციელებული ვიზიტის შედეგად, მხარეები შეჯერდნენ თანამშრომლობის მექანიზმებზე და შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა. აღნიშნული მოდელის ფარგლებში, მიმდინარე წლის 21 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრარული ექსტენციის ცენტრი გაიხსნა. ღონისძიებას დაესწრო აშშ-ის ელჩი კელი ლეგნანი, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობისა და განათლების მინისტრები და მთავრობის სხვა წარმომადგენლები. ცენტრის დაარსების მიზანია სოფლის მეურნეობის დარგების მხარდაჭერა და გაახალგაზრდავება; აგრარული ექსტენციის მიწოდებაში უნივერსიტეტის როლის და მონაწილეობის გაძლიერება.





13-17 მარტს აჭარაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ვაშინგტონისა და თბილისის ოფისის წარმომადგენლები, განათლების საერთაშორისო სპეციალისტი, შეერთებული შტატების უნივერსიტეტების: Central State University, Prairie View A&M University - ექსპერტები და “მომავლის ფერმერის” გუნდი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამუშაო სესიები აშშ-ის უნივერსიტეტების ექსპერტების მონაწილეობით, რომლებიც უნივერსიტეტის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივი სკოლების, ახალგაზრდა ფერმერების და სტუდენტების მონაწილეობით მუშაობენ რეგიონისთვის ექსტენციის მიდგომების შემუშავებაზე. სკოლის მოსწავლეებმა, სამინისტროს ექსტენციონისტებისა და აკადემიური პერსონალის დახმარებით შეიმუშავეს პროექტები, წარმოადგინეს ბიზნეს გეგმები. სტუმრებმა ასევე მოინახულეს ბათუმის რამდენიმე სკოლა, გაეცნენ ბავშვების კლასგარეშე აქტივობებს, შეხვდნენ დირექტორებს და მასწავლებლებს. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში ჯამში 150-ზე მეტი ადგილობრივი სკოლის მოსწავლე და სტუდენტი იყო ჩართული.







"მომავლის ფერმერმა" აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA)-ის მხარდაჭერითა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრის ეგიდით, აჭარის განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხელშეწყობით კახეთში ჩაატარა 5 დღიანი სასწავლო-შემეცნებითი აგრობანაკი აჭარის ა.რ. საჯარო სკოლების მე-8 - მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის მონაწილეები განთავსდნენ კაჭრეთის პროფესიული სასწავლებლის "აისის" ბაზაზე არსებულ სტუდენტთა პანსიონში. აგრობანაკში მონაწილეობდა 21 მოსწავლე ქედის, შუახევის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოს, ბათუმის საჯარო სკოლებიდან. თითოეული სკოლიდან წარმოდგენილი იყო 3 მოსწავლე და 1 მასწავლებელი. აგრობანაკის მონაწილეებს ჰყავდათ მენტორები: სოფლის მეურნეობის ექსტენციის სამსახურის წარმომადგენლები და სტუდენტები; ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართველი და ამერიკელი აგრო სპიკერები.





საზაფხულო აგრო-ბანაკის მონაწილეებმა გამოხატეს სოფლის მეურნეობისადმი მაღალი ინტერესი და თავიანთ სკოლებში დაბრუნების შემდეგ გამოთქვეს დარგის შემდგომი პოპულარიზაციის სურვილი. აქედან გამომდინარე, პროექტის გუნდის დახმარებით, აჭარის რეგიონის საჯარო სკოლებში ახალი სასკოლო პლატფორმა შეიქმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლებში აგრარული უნარების განვითარებას. რეგიონის 10 სკოლაში ჩამოყალიბდა აგროკლუბები, რომლის პლატფორმის წარდგენა და განაცხადზე ხელის მოწერის ცერემონია გაიმართა 26 სექტემბერს ბსუ-ში, რომელსაც ესწრებოდნენ: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მისიის ხელმძღვანელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და სხვა დაინტერესებული მხარეები თუ დარგის სპეციალისტები.

აგროკლუბების მიზანს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებში სოფლის მეურნეობის დარგების პოპულარიზაცია, მოსწავლეთა ინიციატივების წარმოჩენა, სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა; სხვადასხვა აქტუალური საკითხების განხილვა; საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, მოსწავლეთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარება.





აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში ჩატარდა საგრანტო კონკურსი „ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა: ითვალისწინებდა სკოლების მოსწავლეების, სტუდენტების, ექსტენციონისტების და პედაგოგების ერთობლივ მუშაობას. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა 6 საუკეთესო გუნდური პროექტი. გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა 26 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თითოეულ პროექტს გადაეცა 2,000 დოლარიანი გრანტი. მომავლის ფერმერის გუნდი საუნივერსიტეტო ექსტენციის ცენტრთან ერთად აქტიურად იყო ჩართული პროექტების განხორციელების ეტაპზე. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ეტაპობრივად და საზეიმოდ გაიხსნა 4 სასწავლო-სადემონსტრაციო სათბური/ნაკვეთი აჭარის სხვადასხვა სკოლის ბაზაზე.





შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ექსტენციის ცენტრის ბაზაზე, უნივერსიტეტის რექტორის ხელმძღვანელობითა და აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობისა და განათლების სამინისტროების მონაწილეობით, ექსტენციის სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა, რომლის პირველი შეხვედრაც გაიმართა 8 ნოემბერს. აგრარული ექსტენციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად შერჩეულია ექსტენციასთან დაკავშირებული ყველა რგოლი: ბსუ; აჭარის სოფლის მეურნეობის და განათლების სამინისტროები; სოფლის განვითარების სააგენტო; აჭარის ა/რ სავაჭრო სამრეწველო პალატა; მერსი ქორფსი; მომავლის ფერმერი; აგრარული ექსტენციის ცენტრი; აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA); აგროსკოლა და კერძო ექსტენციონისტები. საბჭოს მიზანია აჭარის რეგიონში ექსტენციის კუთხით სხვადასხვა მხარეების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა და დარგისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ერთობლივი მუშაობის საფუძველზე.

ექსტენციის საბჭო მის ქვეშ აერთიანებს 3 სამუშაო ჯგუფს, რომლებიც მათთვის განსაზღვრული კონკრეტული მიმართულებით იმუშავებენ საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, სხვადასხვა საკვანძო მხარეებთან კოორდინაციით. სამუშაო ჯგუფების შეხვედრები ამ ეტაპზე შემდეგი მიმდევრობით არის ჩატარებული:

- კალმახის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა - 27 ოქტომბერი
- განათლებისა და ექსტენციის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა - 30 ნოემბერი
- ახალგაზრდობის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა - 30 ნოემბერი





სოფლის მეურნეობის ექსტენციის პროექტის ფარგლებში აჭარის რეგიონში მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა მეთევზეობის, კონკრეტულად კი - კალმახის აკვაკულტურის მიმართულებით. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, “მომავლის ფერმერის” გუნდი წარმატებით მუშაობს აშშ-ის აიდაჰოსა და მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტების ექსპერტებთან. მიმდინარე წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე მათ რამდენიმე ვიზიტი განახორციელეს საქართველოში, ჩაატარეს აჭარის რეგიონის მეკალმახე ფერმერების მოკვლევა, შეაფასეს საჭიროებები, ჩაატარეს ტრენინგები და სავლე შეხვედრები. საერთაშორისო ექსპერტებმა ფერმერებს წყლის პარამეტრების გასაზომი და კალმახის დაავადებების პირველადი დიაგნოსტიკისათვის საჭირო აღჭურვილობები გადასცეს და აქტიურად არიან ჩართული მონიტორინგის პროცესში. მათი დახმარებით მზადდება დარგისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სასწავლო პროგრამა - მეთევზეობის ფერმის მართვის მოკვლევადიანი გადამზადების კურსი, რომლის აკრედიტაციაც და რამდენიმე სასწავლო დაწესებულებაში დანერგვაც იგეგმება მომდევნო წლის განმავლობაში.






აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსებითა და კანზასის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტებთან თანამშრომლობით, “მომავლის ფერმერი” აქტიურად იყო ჩართული ხორბლის წარმოების შესაძლებლობების შეფასების პროექტში. პროექტი მოიცავდა დარგში არსებული ვითარების მოკვლევასა და ანალიზს. 2023 წლის განმავლობაში “მომავლის ფერმერის” გუნდმა არაერთხელ უმასპინძლა კანზასის უნივერსიტეტის ექსპერტებს და უზრუნველყო ფერმებში საველე გასვლებისა და ადგილობრივ საკვანძო მხარეებთან შეხვედრების ორგანიზება. ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია და არსებული მონაცემების შეგროვება საერთაშორისო ექსპერტების მიერ შესაბამისი მოკვლევის ჩატარების მიზნით.





მიმდინარე წლის 7 ნოემბერს მომავლის ფერმერის ორგანიზებითა და USDA-ის მხარდაჭერით კანზასის უნივერსიტეტის ექსპერტებმა საქართველოს მთავრობას, ფერმერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ხორბლის წარმოების შეფასების ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინეს. ღონისძიება სასტუმრო Holiday Inn-ის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა და 50-ზე მეტ დელეგატს უმასპინძლა. საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული მასალები ასევე ელექტრონულას ნაბეჭდი სახით დაეგზავნა ყველა დამსწრესა და დაინტერესებულ პირებს.





## კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის მხარდაჭერის პროექტი

"მომავლის ფერმერი" 2023 წლის ივნისიდან ახორციელებს პროექტს კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის მიმართულებით კომპეტენციებისა და უნარების განვითარების მიზნით სოფლის განვითარების სააგენტოს ექსტენციის სამსახურთან, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან და სხვადასხვა ინსტიტუციებთან თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს კავკასიის ალიანსების პროგრამა 2, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SDC, ავსტრიის განვითარების სააგენტოს ADC და შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს SIDA მხარდაჭერით, რომელსაც ახორციელებს Mercy Corps.

პროექტის გავრცელების არეალია საქართველოს 12 მუნიციპალიტეტი: აჭარა - ხულო; ქედა; კახეთი - დედოფლისწყარო, ახმეტა; ქვემო ქართლი - მარნეული, წალკა; სამცხე - ახალქალაქი, ნინოწმინდა; სამეგრელო - მარტვილი, რაჭა - ამბროლაური; იმერეთი - სამტრედია; გურია- ლანჩხუთი;

პროექტის ფარგლებში, კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის თემებზე RDA-ს რეგიონული თანამშრომლები „მომავლის ფერმერის“ ხელშეწყობით, შვეიცარიელმა და ქართველმა სპეციალისტებმა გადაამზადეს.





TOT ტარდება სეზონურად, რაც თითოეულ ტრენერს ეხმარება მეცხოველე ფერმერებთან მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული რეკომენდაციების და კონსულტაციების გაცემაში. სპეციალისტებისთვის მომზადდა პრეზენტაციები და გაიდლაინები.

გადამზადებულმა ექსტენციონისტებმა სამიზნე მუნიციპალიტეტებში ზამთრის მოსამზადებელი პერიოდისთვის 8 ტრენინგი ჩაატარეს და ახლებური მიდგომებით რეკომენდაციები გასცეს.



დაგეგმილია შესაბამისი სახელმძღვანელოს დაბეჭდვა, რომელიც მიეწოდება თითოეულ ექსტენციონისტს და რომელიც იქნება, ყოველდღიურად გამოსაყენებელი ლიტერატურა მეცხოველეობაში კლიმატით გამოწვეული ცვლილებების საკითხებში.

პროექტის ფარგლებში, ყოველ პარასკევს, 16:00 სთ-ზე, Facebook ჯგუფში „მეცხოველე ფერმერი (<https://www.facebook.com/groups/livestockfarmer>) ტარდება ონლაინსესიები კლიმატთან ადაპტირებული მეცხოველეობის თემებზე; ონლაინსესიის მსმენელებს საშუალება აქვთ დასვან შეკითხვები და მიიღონ პასუხები მოწვეული სტუმრებისგან.



● კონკურსი აგროთემატიკაზე სამი რეგიონის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის

"მომავლის ფერმერმა" გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელის ინიციატივითა და USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით გამართულ მეორე პარტნიორობის ფორუმზე, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია Fireflies გრანტი მოიპოვა, რომლის მიხედვითაც ბათუმის, ქუთაისისა და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის ჩატარდება კონკურსი აგროთემატიკაზე, ახალგაზრდების სოფლის მეურნეობის დარგით დაინტერესების მიზნით. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ 5 სტუდენტისგან დაკომპლექტებული ჯგუფები სამივე რეგიონიდან.

სამი ფინალისტი ერთმანეთს შეხვდება ბათუმში. კონკურსის შედეგად შეირჩევა ერთი გამარჯვებული ჯგუფი, რომელსაც გადაეცემა ფულადი პრიზი და კომპანია Fireflies ხელს შეუწყობს ამ იდეის სწორად განვითარებას.





ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებსა და ფორუმებში მონაწილეობა

„მომავლის ფერმერმა“ მონაწილეობა მიიღო 5-6 ოქტომბერს ბათუმში გამართულ აგრარულ ფორუმში „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ფორუმის მონაწილეებს ასოციაციის მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მათ შორის, აჭარის რეგიონში, სოფლის მეურნეობის მიმართულებით შესრულებული პროექტების შესახებ...

ფორუმში მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედმა 50-ზე მეტმა კომპანიამ, დარგობრივმა ასოციაციებმა და საოჯახო ფერმერულმა მეურნეობებმა.

ფორუმი მიზნად ისახავს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სექტორის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენას, რეგიონის წამყვანი აგრარული, სოფლად მეწარმეობისა და სოფლად ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების მიმართულებით არსებული ტენდენციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას.



## "მომავლის ფერმერი" Agro Batumi 2023-ის მონაწილე

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და სერვისების შესახებ. Agro Batumi 2023 გამოფენის მიზანია, სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და ახალი პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.



## "მომავლის ფერმერმა" მონაწილეობა მიიღო „მესაქონლეობის ექსპო 2023-ში"

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის, პრიორიტეტული მიმართულებებისა და სერვისების შესახებ. მესაქონლეობის ექსპოს მიზანია ხელი შეუწყოს მსხვილფეხა საქონლის რძისა და ხორცის პროდუქტების ადგილობრივ წარმოებას, ვაჭრობის პოტენციალის გაზრდას და ფერმერთა ტექნიკური უნარებისა და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების განვითარებას, გააცნოს და დააკავშიროს სფეროში ჩართული სპეციალისტები და ფერმერები.



„მომავლის ფორმერის“ გუნდი მადლობას უხდის კარტნიორ ორგანიზაციებს გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც მოგვეცემა შესაძლებლობა, ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დარგის სასიკეთოდ გამოყენებისთვის.



[www.fof.ge](http://www.fof.ge)

[www.fof.edu.ge](http://www.fof.edu.ge)

[info@fof.edu.ge](mailto:info@fof.edu.ge)